საგაზეთო ჩანართი

ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘ

თვითმმართველობა და განვითარება

www.intellect.org.ge

№18 / 2012

ᲤᲘᲚᲘᲞ ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ 2010 წლის თებერვლიდან ახორციელებს პროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერება გრძელვადიანი, მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში“, რომელიც აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) დღემდე მიმდინარეობს. სწორედ აღნიშნული პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი წარმოადგენდა ევროკავშირის პროექტების მენეჯერის, ბატონ **ფილიპ ბერნარდის** აჭარაში ვიზიტის მთავარ მიზანს.

ბატონ **ფილიპ ბერნარდს** და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს **ლევან გობაძეს** ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრა ჰქონდათ ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეებთან და გამგებლებთან, რომლებთანაც ისაუბრეს პროექტის მიმდინარეობაზე, მის საჭიროებასა და აუცილებლობაზე, აგრეთვე დაათვალიერეს მუნიციპალიტეტებში ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი სერვისცენტრები, რომლებიც პროექტის ფარგლებში ყველა მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა.

შეხვედრაზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ თავართქილაძემ ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ „საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2013 წლის პირველი ივნისიდან ყველა თვითმმართველი ორგანო უნდა გადავიდეს მმართველობის ელექტრონულ სისტემაზე. ის, რაც აჭარის რეგიონში „ინტელექტის“ მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით გაკეთდა, ჩვენს მუნიციპალიტეტებს საქმეს გაუიოლებს, რადგან სწორედ თქვენი მხარდაჭერით ერთი ნაბიჯით წინ ვიქნებით და ფეხსაც ადვილად ავუწყობთ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას“.

შეხვედრის დასასრულს ევროკავშირის პროექტების მენეჯერს, ფილიპ ბერნარდს ჩვენთვის შთაგეჭდილებების გაზიარება და რამდენიმე საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ:

– ბატონო ფილიპ, გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი დღევანდელი შთაბეჭდილებები

– პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ მე მოვინახულე აჭარის სამი მუნიციპალიტეტი, სადაც აქტიური, საინტერესო და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები მუშაობენ. სამივე მუნიციპალიტეტი სპეციფიკურია და გაჩნია თავისებურებები, მაგრამ შეხვედრის დროს აშკარად ჩანდა, რომ სამივე მუნიციპალიტეტს და ორგანიზაცია „ინტელექტს“ შორის საქმოდ მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა აქვთ. ჩვენ, ისევევ როგორც მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები კმაყოფილები ვართ დღევანდელი შეხვედრით და იმ შედეგებით, რომლებიც ამ ეტაპზე, მიმდინარე პროექტის ფარგლებში იქნა მიღწეული. გვსურს, სამომავლოდ ეს შედეგები გავაუმჯობესოთ.

– როგორ შეაფასებდით პროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება გრძელვადიანი, მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში“ მნიშვნელობას და მიმდინარეობას?

– პროექტის შეფასება საბოლოოდ ჯერ არ შემიძლია, რადგან არ დასრულებულა. მაგრამ შემიძლია გითხრათათ, რომ ვნახე ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი სამსახურები, რამაც ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ასევე ვნახე „ინტელექტის“ მიერ შემუშავებული სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმები, რომლებიც ძალიან დეტალურად არის დაწერილი და დაფუძნებულია კვლევებსა და ფაქტებზე. ვიმედოვნებ, რომ მას მუნიციპალიტეტები სამომავლოდ აქტიურად გამოიყენებენ, მით უმეტეს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების მხრიდან აღნიშნული სტრატეგიული გეგმებით დაინტერესება დავინახე. მათ თქვეს, რომ სამომავლო გეგმები ამ პროექტის საფუძველზე აქვთ განერილი. მოდით ასე ვთქვათ - ჩემი შუალედური შეფასება საკმაოდ დადებითია.

– ბატონო ფილიპ, თქვენ კიდევ ერთ კოალიციურ პროექტს კურირებთ, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტი ერთობლივად ახორციელებს. პროექტს ჰქვია – „მუნიციპალური მომსახურების ხარისხის ამაღლება ქობულეთის მუნიციპალიტეტში“. გთხოვთ, ორიოდე სიტყვით აღნიშნულ პროექტზეც გაგვიზიარეთ თქვენი შეხედულებები.

– პროექტი 2011 წლის ნოემბერში დაიწყო. ჯერ ცოტა დროა გასული, ამიტომ შედეგებზე ჯერ ადრეა საუბარი. რაც შეეხება თავად პროექტს, ძალიან მნიშვნელოვანია ქობულეთში ამ პროექტის განხორციელება, რადგანაც ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი არის მუნიციპალური მომსახურების ნაკლები ხელმისაწვდომობა. ეს პროექტი ასახავს მოსახლეობის რეალურ, საჭიროებებსა და მოთხოვნებს. როგორც ჩემი ვიზიტის დროს გაირკვა, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებშიც ანალოგიური პრობლემაა, რაც ქობულეთში და ვფიქრობ, რომ ეს პროექტი კარგი მაგალითი იქნება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

– ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობას არცთუ ისე მცირე ხნის ისტორია აქვს. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიცვალა წლების განმავლობაში პრიორიტეტები?

– პრიორიტეტები მოცემულია ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში. რადგან გეგმა არ შეცვლილა, ესე იგი არც მისი კურსია შეცვლილი. ასე რომ, ევროკავშირი განაგრძობს იმავე კურსს და თანამშრომლობას საქართველოსთან მიმართებაში. მაგრამ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების განვითარებას. ჩვენ გავქვს რეგიონის განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, ასევე ვამზადებთ რეგიონის ეკონომიკური განვითარების საპილოტე პროგრამას და ამ პროექტის ფარგლებში გავაგრძელებთ მუშაობას.

– როგორ შეაფასებდით არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოში?

– თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ საქართველოში საკმაოდ ძლიერი არასამთავრობო სექტორი გაქვთ. ძალიან კარგი გარემოა საიმისოდ შექმნილი, რომ არსამთავრობოებმა აქტიურად იფუნქციონირონ. ჩემი აზრით, მთავარ პრობლემურ საკითხს ამ შემთხვევაში ის წარმოადგენს, რომ აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად თავმოყრილნი არიან დიდ ქალაქებში, კერძოდ თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში, სხვა რეგიონები კი შედარებით მოიკოჭლებენ. ჩვენ ვცდილობთ იმის მიღწევას, რომ ძლიერი არასამთავრობო სექტორი შეიქმნას პატარა ქალაქებშიც.

– და ბოლოს, „ინტელექტზე“ რას გვეტყვით?

– თქვენი ორგანიზაცია ევროკავშირთან დიდი ხანია თანამშრომლობს, თუმცა მე პირადად მეორე პროექტს ვახორციელებ და მიმაჩნია, რომ „ინტელექტი“ ჩვენი დელეგაციის სოლიდური და საიმედო პარტნიორია. დღეს რაც შემიძლია გითხრათ, ბედნიერი ვართ თქვენთან ურთიერთობით.

P.S. პროექტის – „ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება გრძელვადიანი, მდგრადი განვითარებისათვის აჭარის რეგიონში“ ფარგლებში „ინტელექტი“ და აჭარის რეგიონის თვითმმართველობების ორგანოები ერთობლივად ამუშავებ მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმებს, საინვესტიციო და მუნიციპალურ პასპორტებს, რომელთა ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია და უახლოეს მომავალში ოფიციალურად გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობებს მათი გამოყენებისათვის. „ინტელექტმა“ მუნიციპალიტეტებისათვის უკვე შექმნა ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი სერვისცენტრები და საინფორმაციო ინტერნეტპორტალები, რომლებიც უკვე ფუნქციონირებენ.

მეხილეობის განვითარების პრობლემები აჭარაში

აჭარის რეგიონის მოსახლეობაში ტრადიციულად დიდი ყურადღება ექცეოდა მემცენარეობის პროდუქციის წარმოებას და მათ შორის მეხილეობას, რომლის პროდუქციის უმეტესი ნაწილი ორიენტირებული იყო საკუთარ მოხმარებაზე. აჭარელი გლეხი როგორც ხილს, ისე მისგან წარმოებულ პროდუქციის სახეობებს იყენებდა – წვენი, ჯემი, მურაბა და მინახარში (ბეთმეზის, ლეჩერის, ხარდალის სახით) წლების განმავლობაში შაქრის მაგივრობას უწევდა გლეხს. რეგიონში მოყვანილი ნაყოფი და მისგან წარმოებული კვების პროდუქტები ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აქ მოყვანილი ხილი ეკოლოგიურად დღესაც სუფთაა, რადგან გლეხები და ფერმერული მეურნეობები არ იყენებენ ქიმიურ სასუქებს და შხამ–ქიმიკატებს.

ბოლო წლებში ხილის წარმოება, ადრინდელთან შედარებით, თითქმის განახევრდა. გასულ საუკუნეში ხილის ნარგავებს აჭარაში 3650 ჰა ეკავა და 23 ათასი ტონა ხილი მზადდებოდა. ამჟამად ხეხილის ფართობი 1780 ჰექტარს შეადგენს, ხოლო მოსავალი 10 ათას ტონას არ აღემატება.

თუ თვალს გადავავლებთ ბოლო წლების სტატისტიკას, არც ამ მხრივ გვაქვს დახარბიელო მდგომარეობა (იხ. დიაგრამა).



ხილის წარმოების შემცირება ძირითადად გამოწვეულია რეგიონში გადამამუშავებელი მრეწველობის არარსებობის, აგრეთვე ადგილობრივი ჯიშების გადაგვარებისა და მათი ჰიბრიდული ჯიშებით ჩანაცვლების გამოც. რეგიონში ფაქტობრივად არ არის დანერგილი ხეხილის მოვლა–მოყვანის ტექნოლოგიები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლიანობას და დაბლა სწევს ხარისხობრივ მაჩვენებლებს. აჭარაში მეხილეობის განვითარებას აფერხებს ის გარემოებაც, რომ არ ტარდება სათანადო მიზანმიმართული ღონისძიებები, იმისათვის რომ შეიქმნას საკოლექციო ნაკვეთები, სანერგე მეურნეობები და ყურადღება გამახვილდეს ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება–განახლებაზე. მეხილეობის პროდუქციის წარმოების შემცირების ერთიერთი მიზეზი არის ის, რომ ტრადიციული ჯიშის ხეხილის არსებული ნარგავები უმეტესწილად ხანდაზმულია და ახალი ნარგავების გაშენება არ ხდება, სამაგიეროდ ამ ჯიშებს თანდათან ენაცვლება სხვა არატრადიციული და ჰიბრიდული ჯიშები, ამას ადასტურებს როგორც სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები – ისე მეცნიერული კვლევის შედეგები.

შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის, მემბრანულ და აგრარულ მიმართულების სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი მეცნიერ მუშაკის **ასლან დევაძის** აზრით, აჭარაში მემცენარეობის პროდუქციის წარმოებას დიდი პერსპექტივა გააჩნია როგორც ნაყოფის, ისე მისგან მიღებული პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების სახით. ამის დასტურად გამოდგება ის ფაქტი, რომ მეცნიერული კვლევების შედეგად შესწავლილია ვაშლის, მსხლის, ყურძნის, ტყემლის, ხურმისა და სხვა ხეხილის ნაყოფები და გამოვლენილია გამოყენების პოტენციური შესაძლებლობები, მიღებული პროდუქციის უნიკალური გემური თვისებები და სარგებლიანობა. წლების განმავლობაში ამ ნედლეულის გამოყენების მიზნით შემუშავებული გადამუშავების ტექნოლოგიების ნუსხა რამდენიმე ასეულს აჭარბებს. ამ ტექნოლოგიებით შესაძლებელია თანამედროვე ბაზარზე მაღალმოთხოვნადი კვების პროდუქტების წარმოება ისეთი ჯგუფების სახით, როგორიცაა: საერთო მოხმარების, ფუნქციონალური და სპეციალური დანიშნულების. აღსანიშნავია, რომ აჭარაში გავრცელებული ხილის გარკვეული ნაწილი საშუალებას იძლევა, დამზადებულ იქნას ისეთი კონკურენტუნარიანი პროდუქციის სახეობები, როგორიცაა: ბავშვთა კვების, დიეტური და დიაბეტური კვების, ანტირადიაციული და სხვა სასარგებლო თვისებების მქონე.

ასლან დევაძე

აჭარა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივ კლიმატური და რელიეფური პირობებით, მინათმოქმედების ტრადიციებითა და მიწის რესურსების შეზღუდულობით, მეხილეობის პროდუქციით კონკურენციას ვერ გაუწევს საქართველოს სხვა ტერიტორიებს, სადაც ხილის წარმოება, იქ არსებული გარემო პირობების გამო, პრიორიტეტულიდა მასშტაბურია. მიუხედავად ამისა, აჭარაში ხილის წარმოებას საკმაოდ დიდი პერსპექტივა გაარჩია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

– ჯიშთა მრავალფეროვნება და ნაყოფის უნიკალური თვისებები;

– ბუნებრივ-კლიმატური პირობებისადმი ადაპტირების მაღალი ხარისხი;

– ადგილობრივი მოსახლეობის მიდრეკილება მეხილეობის პროდუქციის გამოყენებისადმი;

– ადგილობრივი ბაზრის საკმაო ტევადობა ადგილობრივი ჯიშების ხილის ნაყოფისადმი;

– ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დინამიური ტენდენციიდან გამომდინარე ჩამომსვლელთა მხრიდან ინტერესი ადგილობრივ ხილზე;

– მცირე სიმძლავრის გადამამუშავებელი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის პოტენციური შესაძლებლობები და გამოვლენილი პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მრავალფეროვნება.

მეხილეობის, როგორც აგრობიზნესის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების დარგის განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს ხელშემწყობი პოლიტიკა, გაიზარდოს მიმზიდველობა ამ დარგისადმი, როგორც მოსახლეობაში, ისე ფერმერებში. ამ მიზნის მიღწევისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერების, განათლებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესის განვითარებას. დღეს აჭარაში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია დიდი პოტენციალი ამ მიმართულებით და ამ რესურსს გამოყენება უნდა".

არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიურობამ და მხარდაჭერამ დარგის განვითარებისადმი, რადგანაც მცირეკონტტურიანი რთული რელიეფის მქონე და ხშირ შემთხვევაში, ძნელად გამოყენებადი მიწის რესურსები მეხილეობის განვითარებისათვის ვარგისია და მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი – მნიშვნელოვანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარის რეგიონში, განსაკუთრებით მთიან ზონაში, მეხილეობა ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ მე–20 საუკუნის მეორე

ნახევრამდე მისი მთლიანი ნაწილი გამოიყენებოდა პირადი მოხმარებისთვის. შემდგომ პერიოდში, საბჭოური წყობილების დროს, ჩაკეტილი ბაზრის პირობებში, აჭარაში საფუძველი დაედო და განვითარდა გადამამუშავებელი მრეწველობა, რამაც შექმნა სრულიად ახალი, მდგრადი საბაზრო სეგმენტი, რომლისთვისაც პრიორიტეტი იყო რაოდენობა და არა – ნედლეულის ხარისხი. იმავდროულად საავტომობილო გზებით დაკავშირებამ, ტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესებამ და ტურისტური ნაკადების შემოსვლამ მნიშვნელოვნად გააფართოოვა სეგმენტი ადგილობრივ რეგიონალურ ბაზარზე. უნდა ითქვას, რომ ხეხილის მთელი რიგი სახეობები, მაგალითად, ტყემალი, ვაშლი, მსხალი, ხურმა და სხვა ნაყოფის სახით გაიტანებოდა სხვა რესპუბლიკებში და საქართველოს შიდა ტერიტორიულ ბაზრებზე.

დღეს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში მეხილეობის განვითარების ინტერესი და მასშტაბები სტრუქტურულად შეიცვალა, თუმცა მოხმარება შენარჩუნებულია, როგორც საკუთარი, ისე ადგილობრივი ბაზრის სახით, ძალიან მცირე სახით კი – გადამუშავებისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული სტრატეგიული პოლიტიკის გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში რეალურია არსებული სეგმენტების გაფართოვება და რა თქმა უნდა, მეხილეობის დარგის რეაბილიტაცია–განვითარება.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა ფაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანიზების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი"
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 241650, ფაქსი: 241640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge